<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5(12), 1999 წელი, მუხ. 22) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურების, კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.“.

2. მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ[1]) კონვენცია საერთაშორისო გამოფენების შესახებ – საერთაშორისო გამოფენების შესახებ კონვენცია ხელმოწერილი პარიზში 1928 წლის 22 ნოემბერს (გადასინჯული 1972 წლის 30 ნოემბერს);“.

3. მე-3 – მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშანი არის ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეტანილია სასაქონლო ნიშნების რეესტრში, ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესწევს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომში – საქონელი).
2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე, სახელი; ასოები; ციფრები; ბგერების გამოსახულება; ფერები; საქონლის ან მისი შეფუთვის ფორმა.
3. სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.
4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6[bis] მუხლის შესაბამისად.

მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;

გ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების,

ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად;

დ) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება ან წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება;

ე) ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს;

ვ) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან/და საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

ზ) მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა ისეთ სიმბოლოს, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას პარიზის კონვენციის 6ter მუხლის საფუძველზე და არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური უწყების ნებართვა ან მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ/ისტორიულ დასახელებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა.

თ) მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა გერბს, ემბლემას, სახელწოდებას ან იმ ორგანიზაციის ნიშანს, რომელიც არ არის დაცული პარიზის კონვენციის 6ter მუხლით, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს საჯარო ინტერესი ამ ორგანიზაციის ნიშნის დაცვის მიმართ და არ არსებობს ამ ნიშნის მფლობელის ან/და სხვა კომპეტენტური უწყების თანხმობა მისი გამოყენების შესახებ;

ი) შეიცავს ან რომელიმე შემადგენელი ნაწილით ემთხვევა მცენარის ახალი ჯიშის დასახელებას, რომელიც საქართველოს ან საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე დაცულია საქართველოში, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იგივე ან მსგავსი მცენარის ჯიშისათვის;

კ) შედგება მხოლოდ საქონლის ფორმის ან სხვა მახასიათებლისგან, რომელიც:

კ.ა) განპირობებულია საქონლის თვისებებით;

კ.ბ) აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად;

კ.გ) სძენს საქონელს არსებით ღირებულებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ.

მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი:

ა) იდენტური საქონლის მიმართ რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

ბ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ხოლო საქონელი – იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ

ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურია, მსგავსია, შეიცავს მას ან ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის, ან/და ასეთი სასაქონლო ნიშნით სარგებლობით მოხდება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენება;

ე) საქართველოში დაცული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

ვ) შეიცავს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პირის სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს ან პორტრეტს და მათ გამოყენებაზე არ არსებობს ამ პირის ან მისი მემკვიდრის თანხმობა, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებაა – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის გარეშე;

ზ) შეიცავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან მუზეუმის სრულ ან შემოკლებულ დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი წარადგენს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებული ნიშნ(ებ)ის და/ან დიზაინ(ებ)ის მფლობელის წერილობით თანხმობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.“.

4. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) იდენტური ან მსგავსია და რომელსაც საქართველოში აქვს რეპუტაცია, მიუხედავად საქონლის და/ან მომსახურების იდენტურობის ან მსგავსებისა, თუ ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს, ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას.“;

ბ) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) სასაქონლო ნიშნის გამოყენება საფირმო სახელწოდებად ან მის ნაწილად.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირს ეკრძალება:

ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის დატანა საქონლის შეფუთვაზე, ეტიკეტზე, იარლიყზე ან ნებისმიერ საშუალებაზე, რომელზეც შესაძლებელია სასაქონლო ნიშნის დატანა;

ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის, შეფუთვის, ეტიკეტის, იარლიყის ან სხვა მსგავსი საშუალების, რომელზეც დატანილია ასეთი ნიშანი, გასაყიდად შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, გასაღება, გასაღებისათვის მომზადება ან დასაწყობება, იმპორტი ან ექსპორტი.“.

5. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საკუთარი სახელი და/ან მისამართი, თუ მესამე პირი ფიზიკური პირია;

ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია ან რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს;

გ) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის იდენტიფიცირების ან საქონელზე მითითების მიზნით, კერძოდ, როცა ეს აუცილებელია საქონლის ან მომსახურების დანიშნულების მისათითებლად, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება, როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი სასაქონლო ნიშანს იყენებს სამეწარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერი პრინციპების დაცვით.“.

6. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს 15 კალენდარულ დღეში.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწყობილ „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, ოფიციალურ ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილ ექსპონატზე გამოყენებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება ექსპონატის გამოფენის პირველი დღით (საგამოფენო პრიორიტეტი), თუ გამოფენაზე მისი ჩვენების დღიდან შესაბამისი განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა. საგამოფენო და საკონვენციო პრიორიტეტები ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.“;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. განაცხადში არსებულ სხვადასხვა საქონელს შეიძლება დაუდგინდეს სხვადასხვა პრიორიტეტი.“.

7. მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 მუხლი:

„მუხლი 11^1. საქონლისა და მომსახურების მითითება და კლასიფიკაცია

1. საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, კლასიფიცირებული უნდა იქნეს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით.

2. განაცხადში საქონელი უნდა მიეთითოს ისეთი ფორმით, რომ ზუსტად და ცხადად იყოს შესაძლებელი მოთხოვნილი დაცვის ფარგლების განსაზღვრა.

3. განაცხადში საქონლის ზოგადი დასახელებების, მათ შორის, საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურებში გამოყენებული ზოგადი დასახელებების მითითება

შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. თუ განაცხადში წარმოდგენილი საქონლის ჩამონათვალი ბუნდოვანი და/ან ზოგადია, განმცხადებელი ვალდებულია ,,საქპატენტის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში „საქპატენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საქონლის მიმართ განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

5. განაცხადში საქონლის ზოგადი დასახელებების, მათ შორის საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურების გამოყენებისას, განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ფარგლები განისაზღვრება ამ დასახელებების პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით. საქონლის ასეთი დასახელებებით მოთხოვნილი დაცვა არ ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელსაც არ მოიცავს ამ დასახელებათა შინაარსი.

6. თუ სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება საერთაშორისო კლასიფიკატორის ერთზე მეტ კლასში შემავალი საქონლისათვის, განაცხადში საქონელი უნდა დაჯგუფდეს კლასების მიხედვით და მიეთითოს შესაბამისი კლასის ნომერი.

7. საქონელი არ შეიძლება მსგავსად ჩაითვალოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი დაჯგუფებულია საერთაშორისო კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში. ასევე, საქონელი არ შეიძლება განსხვავებულად ჩაითვალოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი დაჯგუფებულია საერთაშორისო კლასიფიკატორის სხვადასხვა კლასში.“.

8. მე-12 მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქპატენტს შეუძლია განმცხადებელს მოსთხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დამატებითი მასალა. დამატებითი მასალა საქპატენტს წარედგინება მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს განმცხადებლისათვის შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვეს. ამ ვადის დარღვევისას საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

3. განაცხადი, რომელიც საქონლის ორ ან მეტ დასახელებას შეიცავს, განმცხადებლის მოთხოვნით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ განაცხადად პირველ განაცხადში არსებული საქონლის გადანაწილებით თითოეულ განაცხადზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. განაცხადებში საქონელი ისე უნდა გადანაწილდეს, რომ არ მოხდეს გამოყოფილი განაცხადების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა. გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნდებათ პირველი განაცხადის შეტანის თარიღი.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს სხვადასხვა საქონლისათვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება. განაცხადების გაერთიანებისას, თითოეულ განაცხადში მითითებულ საქონელს უნარჩუნდება შესაბამისი განაცხადის პრიორიტეტის თარიღი.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

9. მე-13 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) თუ განმცხადებელი ითხოვს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტს – ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;

ბ) თუ მოთხოვნილია სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია ამ კანონის 38^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;

გ) თუ მოთხოვნილია კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია – ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;

დ) თუ განმცხადებელს გაეგზავნა შეტყობინება დამატებითი მასალის მოთხოვნით, ექსპერტიზა ჩერდება შეტყობინებაზე პასუხის მიღებამდე, მაგრამ არა უმეტეს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ განაცხადის შეტანიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური არ გადაიხდება ან გადახდილი თანხა საქონლის ერთი კლასის წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლებია, „საქპატენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში გადაიხდება განაცხადით გათვალისწინებული კლასების წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ ერთი კლასის წარდგენისათვის საკმარისი თანხა, ექსპერტიზა ტარდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ კლასებზე, ხოლო ასეთი შერჩევის არარსებობის შემთხვევაში, პირველ იმდენ კლასზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.“.

10. 15^1 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განმცხადებელს სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანისას ან განაცხადის შეტანის შემდეგ ნებისმიერ დროს, არა უგვიანეს განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 თვის ვადისა, შეუძლია მოითხოვოს განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარება.“.

11. მე-16 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. განაცხადის მონაცემების სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში იმ მოტივით, რომ:

ა) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ირღვევა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ირღვევა ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები;

გ) არსებობს ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ–ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1, 4^2 და 4^3 პუნქტები:

„4^1. დაუშვებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში იგივე მოთხოვნებითა და იმავე საფუძვლით.

4^2. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააპელაციო საჩივრის შეტანა შეუძლია:

ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – ნებისმიერ პირს;

ბ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა – ადრინდელი უფლების მფლობელ პირს;

გ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – ამ კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს.

4^3. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი, რომელიც ასაჩივრებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებას, თუ ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 5 წელზე მეტი, ვალდებულია სააპელაციო პალატას წარუდგინოს მტკიცებულება, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სასაქონლო ნიშანი რეალურად გამოიყენებოდა საქართველოში იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც ნიშანი რეგისტრირებულია, და რომელსაც ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი უთითებს სააპელაციო საჩივრის საფუძვლად. რეალური გამოყენების მტკიცებულების ან გამოუყენებლობის საპატიო მიზეზის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოება წყდება. თუ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა რეგისტრირებული საქონლის მხოლოდ ნაწილის მიმართ, სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის მხოლოდ აღნიშნული ნაწილისათვის.“.

12. მე-19 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^1 მუხლი:

„მუხლი 19^1. სასაქონლო ნიშნის დაყოფა

1. სასაქონლო ნიშანი შეიძლება დაიყოს ორ ან მეტ იდენტურ სასაქონლო ნიშნად დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომრების მინიჭებით, იმ პირობით, რომ არ მოხდეს დაყოფილი სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხდება დაყოფილი სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა, საქპატენტი ნიშნის მფლობელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისთვის. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშნის დაყოფისათვის გადაიხდება დადგენილი საფასური. შესაბამისი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

4. სასაქონლო ნიშნის დაყოფის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში ასახვის დღიდან.

5. სასაქონლო ნიშნის დაყოფის თაობაზე განცხადების შეტანამდე გადახდილი ყველა საფასური და ყველა შეტანილი მოთხოვნა წარდგენილად ითვლება თითოეული დაყოფილი სასაქონლო ნიშნისთვის.

6. დაყოფის საფუძველზე წარმოშობილ სასაქონლო ნიშნებს უნარჩუნდებათ თავდაპირველი სასაქონლო ნიშნის შეტანისა და პრიორიტეტის თარიღი.

7. დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, დაყოფილი სასაქონლო ნიშნები შესაძლებელია გაერთიანდეს ერთ სასაქონლო ნიშნად.“.

13. კანონის 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. საფასური

სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, არსობრივი ექსპერტიზის, დაჩქარებული ექსპერტიზის, პრიორიტეტის მოთხოვნის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, ცვლილებების რეგისტრაციის, გამოქვეყნების, მოწმობის გაცემის, რეესტრიდან ამონაწერის გაცემის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული ვადების შეჩერების, აღდგენისა და გაგრძელების, სასაქონლო ნიშნის დაყოფის, დაყოფილი სასაქონლო ნიშნების გაერთიანების, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებებისათვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური. საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

14. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სასაქონლო ნიშნის გამოყენება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ჩაითვლება სასაქონლო ნიშნის გამოყენება სასაქონლო ნიშნის მფლობელის, ლიცენზიატის, ასევე, მესამე პირის მიერ, სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის სასაქონლო ნიშნის გამოყენებად, ასევე, ჩაითვლება:

ა) სასაქონლო ნიშნის გამოყენება მცირედით განსხვავებული ელემენტებით, რომელიც არ ცვლის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა სასაქონლო ნიშანი იმ ფორმით, როგორც ის გამოიყენება.

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის დატანა ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე ან საქონლის შეფუთვაზე.

3. ისეთი სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომლებშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობით.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რომელიც ჩაითვლება სასაქონლო ნიშნის ბაზარზე რეალურ გამოყენებად.“.

15. 25-ე მუხლის:

ა) მე-6 და 6^1 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) 6^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 პუნქტი:

„6^2) თუ სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა ეხება მხოლოდ რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილს, სასაქონლო ნიშნის გადაცემის შედეგად ძირითადი

სასაქონლო ნიშნისა და ნაწილობრივ გადაცემული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს შორის არ უნდა იყოს გადაფარვა.“.

16. 26-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ლიცენზიატი აღძრავს სარჩელს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით. განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი, ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდგომ, გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს.“.

17. 27-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით; თუ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრირებულია სალიცენზიო ხელშეკრულება, სასაქონლო ნიშნის გაუქმება დასაშვებია, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ მან სასაქონლო ნიშნის გაუქმების მოთხოვნამდე შეატყობინა ლიცენზიატს ასეთი განზრახვის არსებობის შესახებ;“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არ ხდებოდა სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენება უწყვეტი 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში. თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება დაუშვებელია;“.

18. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით;
გ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე და წარმომადგენლის ან აგენტის მხრიდან ვერ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება;

დ) სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა;

ე) ამგვარი რეგისტრაციით და/ან სასაქონლო ნიშნის გამოყენებით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისათვის დადგენილი პრიორიტეტის თარიღამდე;

ვ) იგი სადავო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა, თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მის მფლობელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს, ან ზიანს აყენებს საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას;

ზ) იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

თ) სასაქონლო ნიშანში გამოყენებულია განმასხვავებელუნარიანი სიმბოლო, რომელზეც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე და მასზე უფლებების მფლობელი, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილია აკრძალოს სასაქონლო ნიშნის გამოყენება;

ი) სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე.

2. სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი რეგისტრირებულია ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების დარღვევით, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც ის არის რეგისტრირებული.

3. სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა შეიძლება მოითხოვოს:

ა) ნებისმიერმა პირმა, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მოითხოვება იმ საფუძვლით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 მუხლის ან მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

ბ) მხოლოდ ადრინდელი უფლების მფლობელმა, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მოითხოვება იმ საფუძვლით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-5 მუხლის (გარდა პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა) მოთხოვნები;

გ) მხოლოდ ადრინდელი უფლების მფლობელმა, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მოითხოვება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ-ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაცვლად, მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მისთვის გადაცემა.

5. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ.

6. საქონლის მთელი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

7. სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის აღძვრამდე, ამ მუხლის მე-

3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული, ადრინდელი უფლების მფლობელს გაცემული აქვს წერილობითი თანხმობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

8. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული, ადრინდელი უფლების მფლობელ პირს ამ მუხლის საფუძველზე მოთხოვნილი აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა სარჩელით ან შეგებებული სარჩელით, მას არ აქვს უფლება ხელახლა მიმართოს სასამართლოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით, თუ მას აღნიშნული საფუძვლით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა შეეძლო პირველი სარჩელის ფარგლებში.

9. პირს არ აქვს უფლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც ის გამოიყენება, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის საფუძველზე, თუ იგი შესაბამისი სარჩელით არ მიმართავს სასამართლოს 5 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა სადავო სასაქონლო ნიშნის საქართველოში გამოყენების შესახებ. ეს წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ შეუძლია მოითხოვოს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დაკარგა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება.

11. სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი, რომელიც ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას, და ადრინდელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 5 წელზე მეტი, ვალდებულია სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშანი რეალურად გამოიყენებოდა იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც ნიშანი რეგისტრირებულია და რომელსაც ის უთითებს სარჩელის საფუძვლად. რეალური გამოყენების მტკიცებულების ან გამოუყენებლობის საპატიო მიზეზის წარმოუდგენლობის შემთხვევაში სარჩელზე საქმისწარმოება წყდება.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა რეგისტრირებული საქონლის მხოლოდ ნაწილის მიმართ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული დავის მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მხოლოდ საქონლის აღნიშნული ნაწილისათვის.“.

19. 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან.
3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უკუძალა არ აქვს:
ა) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ, თუ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ბ) ასეთი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დადებული და აღსრულებული გარიგებების მიმართ.“.

20. 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

21. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვებიდან გამონაკლისის სახით კოლექტიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე).“.

22. 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განაცხადი კოლექტიურ ნიშანზე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. განაცხადს თან უნდა დაერთოს კოლექტიური ნიშნის დებულება. განმცხადებელი ვალდებულია, განაცხადის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 თვისა, საქპატენტს წარუდგინოს კოლექტიური ნიშნის დებულება.“.

23. V თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის V[1] თავი:

„თავი V[1] სასერტიფიკაციო ნიშანი

მუხლი 38[1]. სასერტიფიკაციო ნიშანი

1. სასერტიფიკაციო ნიშანი წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის სახეს, რომელიც განასხვავებს სერტიფიცირებულ საქონელს არასერტიფიცირებული საქონლისაგან საქონლის მასალის, წარმოების პროცესის, ხარისხის, სიზუსტის, მომსახურების შესრულების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით, გარდა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობისა.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ მათი საქმიანობა არ არის დაკავშირებული იმ საქონლის წარმოებასთან ან მიწოდებასთან, რომლისთვისაც მოითხოვება სასერტიფიკაციო ნიშნის დაცვა.

3. სასერტიფიკაციო ნიშნებზე სრულად ვრცელდება ამ კანონით სასაქონლო ნიშნებისათვის დადგენილი მოთხოვნები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 38[2]. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება

1. სასერტიფიკაციო ნიშნის განმცხადებელი ვალდებულია, განაცხადის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა, საქპატენტს წარუდგინოს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება უნდა განსაზღვრავდეს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირებს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების პირობებს, საქონელს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებისათვის საჭირო პირობების შემოწმებისა და მისი გამოყენების მონიტორინგის წესებს და სანქციებს გამოყენების პირობების დარღვევისათვის.

მუხლი 38[3]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

1. გარდა ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებისა, სასერტიფიკაციო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ:

ა) სასერტიფიკაციო ნიშნის განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის 38^1 და 38^2 მუხლების მოთხოვნებს;

ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრონციპებს;

გ) სასერტიფიკაციო ნიშანმა შესაძლებელია მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს სასერტიფიკაციო ნიშნის მნიშვნელობის ან შინაარსის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება, თუ განმცხადებელი სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში განახორციელებს ისეთ ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც აღარ იარსებებს სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.

მუხლის 38^4. სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლები

ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, მესამე პირმა სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება სააპელაციო პალატაში შეიძლება გაასაჩივროს, თუ დარღვეულია ამ კანონის 38^3 მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 38^5. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება

სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებად ჩაითვლება ამ კანონის 38^2 მუხლით განსაზღვრული სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ მისი გამოყენება, თუ დაკმაყოფილებულია ამ კანონით დადგენილი სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 38^6. ცვლილებები სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში

1. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში განხორციელებული ცვლილებები დაარეგისტრიროს საქპატენტში.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შესატანი ცვლილებები უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 38^2 და 38^3 მუხლების მოთხოვნებს.

3. „საქპატენტის“ გადაწყვეტილება, სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში, თუ დარღვეულია ამ კანონის 38^3-ე მუხლის მოთხოვნები.

4. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში განხორციელებული ცვლილებები ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში შეტანის დღიდან.

მუხლი 38^7. უფლებების გადაცემა

სასერტიფიკაციო ნიშნის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 38^1 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

მუხლი 38^8. სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების დაცვა

1. სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების დარღვევისას, სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირების სახელით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სასერტიფიკაციო ნიშნის უნებართვო გამოყენებისათვის.

მუხლი 38[9]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლების გარდა, სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას სასამართლო აუქმებს, თუ:

ა) სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ვეღარ აკმაყოფილებს ამ კანონის 38[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ იღებს შესაბამის ზომებს, რომ სასერტიფიკაციო ნიშანი გამოყენებულ იქნეს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით განსაზღვრული პირობების დაცვით;

გ) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს;

დ) სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში განხორციელებული ცვლილებები ეწინააღმდეგება ამ კანონის 38[6] მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, თუ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში, რომლის საფუძველზეც აღმოიფხვრება აღნიშნული საფუძველი.

მუხლი 38[10]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები

ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო, თუ ის რეგისტრირებულია ამ კანონის 38[6] მუხლის დარღვევით და თუ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ შეცვლის სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებას იმგვარად, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული საფუძველი.“.

24. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 41. მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა

„1. სასაქონლო ნიშანზე, რომლისთვისაც საქართველოში დაცვის მინიჭება მოითხოვება მისი საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით (შემდეგში – საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი), ტარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა და მოწმდება საქონლის ჩამონათვალის შესაბამისობა ამ კანონის 11[1] მუხლის მოთხოვნებთან.

2. ამ კანონის I–V[1] თავებში გამოყენებული ტერმინის „რეგისტრაცია“ ნაცვლად საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში გამოყენებულ იქნეს ტერმინი „დაცვა“.“.

25. 45-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 45[1] მუხლი

„მუხლი 45[1]. ურთიერთობა რეგისტრირებულ კონფლიქტურ სასაქონლო ნიშნებს შორის

1. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევისას, სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება მოითხოვოს უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, თუ ამ კანონის 28-ე მუხლის მე-7, მე-8, მე-9 ან მე-11 პუნქტების საფუძველზე, დაუშვებელია უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება აუკრძალოს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელს სასაქონლო ნიშნის გამოყენება.“.

მუხლი 2.

1. იმ სასაქონლო ნიშნების მფლობელებს ან განმცხადებლებს, რომელთა განაცხადიც შეტანილ იქნა საქპატენტში ამ კანონის ამოქმედებამდე და რომელთაც განაცხადში საქონლის ჩამონათვალი მითითებული აქვთ საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასების სათაურების სახით, უფლება აქვთ დააზუსტონ საქონლის ჩამონათვალი და მიუთითონ ის საქონელი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურში გამოყენებული საქონლის დასახელებების პირდაპირ მნიშვნელობას, თუ განაცხადის შეტანის მომენტისათვის ეს საქონელი მოცემული იყო საერთაშორისო კლასიფიკატორის მოქმედი რედაქციის ანბანურ ჩამონათვალში.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქონლის ჩამონათვალის დაზუსტების თაობაზე განცხადება საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 5 წლისა. დაზუსტებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. დაზუსტებული საქონელი, კანონით დადგენილი წესით, შედის რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში. ამ პუნქტის მიხედვით, საქონლის დაზუსტება უნდა მოხდეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 4^2 პუნქტის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებისა და 45^1 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სასაქონლო ნიშნებზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მოითხოვება უფლებების გადაცემა, ლიცენზიის რეგისტრაცია, რეესტრის მონაცემებში ცვლილებების განხორციელება, სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება, ან თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი მესამე პირების წინააღმდეგ სააპელაციო პალატაში წარადგენს საჩივარს, საქპატენტი აღნიშნულ მოთხოვნებზე საქმისწარმოების პროცესში განმცხადებელს/სასაქონლო ნიშნის მფლობელს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას და მისცემს საქონლის ჩამონათვალის დაზუსტების შესაძლებლობას.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნების განმცხადებლები/მფლობელები, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არ დააზუსტებენ საქონლის ჩამონათვალს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომენტიდან, მიიჩნევა, რომ სასაქონლო ნიშანი დაცულია მხოლოდ იმ საქონლისთვის, რომელიც ცხადად გამომდინარეობს საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის სათაურში შემავალი ჩამონათვალის შინაარსობრივი მნიშვნელობიდან.

5. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქონლის ჩამონათვალის დაზუსტება ხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე.

მუხლი 3.

ამ კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები ინარჩუნებენ სტატუსს.

მუხლი 4.

1. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილების „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. საქპატენტმა 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 5.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**